ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 52.28.1521

„30" დეკემბერი 2015 წ.

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" დაფუძნების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის N16.48.691 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ბ[1]", ,,ე.თ" და ,,ე.კ" ქვეპუნქტების, 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის წიგნი პირველი, კარი პირველი, II თავისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2015 წლის 23 დეკემბერს შემოსული ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" N120117/06 განცხადების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" დაფუძნების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის N16.48.691 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" წესდებაში:

ა) წესდების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანები

2.1. ბოტანიკური ბაღის მიზნები და ამოცანებია:

2.1.1. ბიომრავალფეროვნების შესწავლა და კონსერვაცია ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;

2.1.2. მსოფლიოს სხვადასხვა ფლორისტული ოლქების მცენარეთა სახეობების კოლექციების შექმნა და არსებული კოლექციების მდგრადობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და რეკრეაციული მიზნით;

2.1.3. საქართველოში გავრცელებული ენდემური და მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე მცენარეთა სახეობებისა და კულტურული ფლორის ჯიშების ბოტანიკური ბანკის შექმნა;

2.1.4. საქართველოს ფლორის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება ex-situ კონსერვაცია და აღდგენა ბუნებრივ გარემოში;

2.1.5. მცენარეთა კონსერვაციის გლობალურ და რეგიონალურ პროგრამებში ჩართვა, საერთაშორისო ვალდებულებებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

2.1.6. საქართველოს მოსახლეობაში არსებული ტრადიციული ბოტანიკური ცოდნის დოკუმენტირება და ეთნობოტანიკური მონაცემების ბაზის შექმნა;

2.1.7. სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან ერთობლივი საქმიანობის წარმოება;

2.1.8. საველე ექსპედიციების მოწყობა კოლექციების შესავსებად და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

2.1.9. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა/კონსერვაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი პოპულარიზაცია;

2.1.10. ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეის მოდერნიზაცია, სანერგე და სასათბურე მეურნეობების შექმნა და განვითარება;

2.1.11. ბოტანიკური ბაღის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო სივრცეების/ტერიტორიების გამწვანება, მოწყობა და მოვლის უზრუნველყოფა;
2.1.12. ბოტანიკური ბაღის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო სივრცეების/ტერიტორიების მოწყობა დასასვენებელი და ტურისტული მომსახურებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით, ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლის უზრუნველყოფა;
2.1.13. ბოტანიკური ბაღის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო სივრცეების/ტერიტორიებზე ახალგაზრდული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გამართვის ხელშეწყობა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის უზრუნველყოფა;
2.1.14. საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ამ მიზნით სხვადასხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
2.1.15. სამეცნიერო კონფერენციების, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, გამოფენების, სეზონური გამწვანების და გარემოსდაცვითი ღონისძიებების და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობა;
2.1.16. სამეცნიერო და საინფორმაციო ხასიათის ლიტერატურის/ბროშურების მომზადება და გამოცემა;
2.1.17. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და კადრების სათანადო მიმართულებით მომზადება, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის მიმართულებით შესაბამისი პირობების შექმნა;
2.1.18. ბოტანიკური ბაღის მიზნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასოციაციებში გაერთიანება, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.
2.2 ბოტანიკურ ბაღის საქმიანობის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საქმიანობის შესაბამისი მიმართულების ეფექტიანად მართვის და განხორციელების მიზნით, შეიძლება შეიქმნას ბოტანიკური ბაღის ფილიალი, რომელიც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.
2.3 ბოტანიკურ ბაღს შეუძლია განახორციელოს სხვა ისეთი არასამეწარმეო ან დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულები შემოსავლები უნდა მოხმარდეს ბოტანიკური ბაღის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას."
ბ) წესდების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.2. ბოტანიკური ბაღის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - დამფუძნებელი)."
გ) წესდების მე-4 მუხლის 4.1.10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4.1.10. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებულის სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით არ განეკუთვნება დირექტორის უფლებამოსილებას ან/და სცილდება ბოტანიკური ბაღის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს."
დ) წესდების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.2.3[1] პუნქტი:
„4.2.3[1] სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნება;"
ე) წესდების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 5. ბოტანიკური ბაღის მართვა
5.1 ბოტანიკურ ბაღს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი. ბოტანიკური ბაღის დირექტორი ინიშნება უვადოდ ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ვადით.
5.2 ბოტანიკური ბაღის დირექტორი:
5.2.1. ახორციელებს ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;
5.2.2. მოქმედებს ბოტანიკური ბაღის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ბოტანიკური ბაღის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით იძენს და განკარგავს ქონებას;
5.2.3. ბოტანიკური ბაღის მიზნების მისაღწევად იყენებს ბოტანიკური ბაღის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ქონებას, ასევე, ბოტანიკური ბაღის ანგარიშებზე არსებულ მატერიალურ სახსრებს. ამასთან ბოტანიკური ბაღის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივად და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე;

5.2.4. ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს ბოტანიკური ბაღის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას;
5.2.5. ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის შინაგანაწესს, თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს და სამოქმედო ინსტრუქციებს, გამოსცემს ბრძანებებს;
5.2.6. დამფუძნებლის თანხმობით განსაზღვრავს ბოტანიკური ბაღის სტრუქტურას და სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციებს, დამფუძნებლის თანხმობით აარსებს ბოტანიკური ბაღის ფილიალს და ამტკიცებს მის დებულებას;
5.2.7. დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ბოტანიკური ბაღის ბიუჯეტის პროექტს;
5.2.8. დამფუძნებლის თანხმობით განსაზღვრავს და ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის საშტატო ნუსხას და შრომის ანაზღაურების საკითხებს, საპრემიო ფონდის, საწვავისა და საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების ოდენობას;
5.2.9. დამფუძნებლთან შეთანხმებით განსაზღვრავს ბოტანიკური ბაღის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების/ფილიალების დათვალიერების/შესვლის ტარიფებს, მომსახურებისა და დამხმარე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
5.2.10. ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, განსაზღვრავს თანამშრომელთა ფუნქციებს და უფლება-ვალდებულებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ ვალდებულებების შესრულებას, გასცემს მინდობილობებს;
5.2.11. წყვეტს თანამშრომელთა წახალისების (ფულადი ჯილდო, სიგელი და სხვა) და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;
5.2.12. საჭიროების შემთხვევაში ქმნის საკონსულტაციო ორგანოებს (საბჭო, კომისია, სამუშაო ჯგუფი) და განსაზღვრავს მის ფუნქციებს;
5.2.13. სტიქიური შემთხვევების, უამინდობისა და სხვა ფორსმაჟორულ ვითარებაში, ან/და სანიტარული დასუფთავების აუცილებლობის, ან სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებებს დამთვალიერებლებისთვის/ვიზიტორებისთვის დროებით ბაღის/სარეკრეაციო სივრცის სრული ან ნაწილობრივი დახურვის შესახებ, რაზეც დაუყოვნებლივ აცნობებს დამფუძნებელს;
5.2.14. დამფუძნებელის თანხმობით ამტკიცებს ლოგოს და სხვა ოფიციალურ სიმბოლიკას;
5.2.15. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ბაღის შიდა ტერიტორიული მოწყობის (დაყოფის), სახელდებისა და ნუმერაციის თაობაზე;
5.2.16. ბოტანიკური ბაღის საქმიანობის შესახებ დამფუძნებელს წარუდგენს პერიოდულ ანგარიშს;
5.2.17. ადგენს მატერიალურ ფასეულობებზე, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ და შრომით დისციპლინაზე პასუხისმგებელ პირთა წრეს;
5.2.18. ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;
5.2.19. წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს.
5.3 ბოტანიკური ბაღის დირექტორის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილები განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს დროებით, ბოტანიკური ბაღის დირექტორის წერილობითი დავალებით, ასრულებს ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე."
3) წესდებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:
„მუხლი 5^1. ბოტანიკური ბაღის საზოგადოებრივი საბჭო
5.1 დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ბოტანიკური ბაღის საქმიანობის ხელშეწყობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება შეიქმნას ბოტანიკური ბაღის საზოგადოებრივი საბჭო (შემდგომში - საზოგადოებრივი საბჭო). საზოგადოებრივი საბჭო შემადგენლობას და რაოდენობას განსაზღვრავს დამფუძნებელი.
5.2 საზოგადოებრივი საბჭო:
5.2.1. განიხილავს ბოტანიკური ბაღის დირექტორის ანგარიშებს ბოტანიკური ბაღის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
5.2.2. დამფუძნებლის ან ბოტანიკური ბაღის დირექტორის ინიციატივით განიხილავს ბოტანიკური ბაღის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს;
5.2.3. ბოტანიკური ბაღის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

5.3 საზოგადოებრიივ საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 6-თვეში ერთხელ. საზოგადოებრივი საბჭო აგრეთვე მოიწვევა:

5.3.1. საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით;

5.3.2. დამფუძნებლის ინიციატივით;

5.3.3. ბოტანიკური ბაღის დირექტორის ინიციატივით;

5.3.4. საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.

5.4 საზოგადოებრივი საბჭო სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს ენიჭება უპირატესი ხმის უფლება.

5.5 საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია.

ზ) წესდების მე-6 მუხლის 6.6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.6 ბოტანიკური ბაღი მისთვის გადაცემულ ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ქონების გასხვისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს შეუწყობს ბოტანიკური ბაღის განვითარებას, მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. ქონების შეძენა და გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქონება, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, აუქციონის გარეშე, საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.“.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ დირექტორს სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილების ასახვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, N6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — დავით ნარმანია

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15234148, 04/12/2015 12:48:56

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი
სამართლებრივი ფორმა:	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404405960
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/07/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ბოტანიკურის ქ., №1

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@nbgg.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 61005007758, თამაზ დარჩიძე

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge